დანართი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა (შემდგომში - დეპარტამენტი) და შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“ (შემდგომში - კომპანია) შორის გაფორმებული მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ინვენტარიზაცია, შესრულებული სამუშაოების დადასტურება და მოქმედი ხელშეკრულებების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმებით, განხორციელდეს შემდეგი პირობებით:

1. კომპანიამ უზრუნველყოს დეპარტამენტის მიერ ავანსის სახით გაცემული და ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის აღუდგენელი ავანსის თანხის სრულად დაბრუნება სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. დეპარტამენტთან გაფორმებული იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებშიც დაკავებულია ხარისხის დაცვის უზრუნველყოფისათვის თანხები (5%) (შემდგომში - ხარისხის თანხა) და სამუშაოები არ არის დასრულებული, ხელშეკრულებების შეწყვეტის დროისათვის, შესრულებული სამუშაოების კომისიურად დადასტურებისა და ხარვეზების არარსებობის შემთხვევაში, შესაბამისი აქტის საფუძველზე, კომპანიას აუნაზღაურდება ხარისხის თანხიდან 2.5%. ხარისხის თანხიდან დარჩენილი 2.5% კომპანიას არ უბრუნდება. იმ შემთხვევაში, თუ კომისიური წესით სამუშაოების ინვენტარიზაციისას დაფიქსირდება ხარვეზი, კომპანიას არ აუნაზღაურდება ხარისხის თანხა. ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, მათ აღმოფხვრას უზრუნველყოფს დეპარტამენტი ხარისხის თანხიდან, ხოლო თუ აღნიშნული თანხა არ არის საკმარისი, დეპარტამენტი ხარვეზების აღმოფხვრას უზრუნველყოფს მისთვის გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში.

3. დეპარტამენტთან გაფორმებული იმ ხელშეკრულებების ფარგლებში, სადაც სამუშაოები დასრულებულია და დაკავებულია ხარისხის თანხა, ხელშეკრულებების შეწყვეტის დროისათვის ხარისხის თანხიდან მისაღები თანხა კომპანიას აუნაზღაურდება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის დროისათვის მიღებულია სამუშაოები შესაბამისი წესით ან/და გასულია ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საგარანტიო ვადები და სამუშაოებზე არ არის დაფიქსირებული ხარვეზ(ებ)ი. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების მიღება ვერ განხორციელდა ხარვეზების არსებობის გამო, ან ხელშეკრულებების შეწყვეტის დროისათვის გასულია საგარანტიო ვადა და სამუშაოებზე ფიქსირდება ხარვეზები, კომპანიას არ უნაზღაურდება დაკავებული ხარისხის თანხა. ხარვეზ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში, მათ აღმოფხვრას უზრუნველყოფს დეპარტამენტი, ხარისხის თანხიდან, ხოლო თუ აღნიშნული თანხა არ არის საკმარისი, დეპარტამენტი ხარვეზების აღმოფხვრას უზრუნველყოფს მისთვის გამოყოფილი შესაბამისი ასიგნებების ფარგლებში.

4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოების დადასტურება ვერ ხერხდება ობიექტური მიზეზების გამო (კლიმატური პირობები, სტიქია და სხვა), კომპანიას არ აუნაზღაურდება შესრულებულ სამუშაოებზე ხარისხის თანხები.